დანართი 3

მაგისტრატურაში ჩარიცხვისათვის საჭირო დოკუმენტები:

1. განცხადება (განცხადების ფორმა - დანართი 2)
2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის ან ID ბარათის) ასლი; (უცხო ქვეყნის მოქალაქე-პასპორტის/პირადობის მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანის დედანი);
3. ფოტოსურათი ზომით 3x4სმ ;
4. სამხედრო ბილეთის ასლი, ან მიწერის მოწმობა ასლი (სამხედრო ვალდებულთა-თვის);
5. მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მიღებული შეფასებები (ამონაბეჭდი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდიდან - www.naec.ge);
6. ბაკალავრის დიპლომის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ასლი (დიპლომის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის არ არსებობის შემთხვევაში ცნობა კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ);
7. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განთლების შემთხვევაში, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქართულ ენაზე ნათარგმნი ნოტარიულად დამოწმებული დედანი და განათლების აღიარების დოკუმენტი.
8. სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე, უცხო ენის (B2 დონის) ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
9. სტუ-ის სამაგისტრო გამოცდებში განაცხადის შეტანისას განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს სტუ-ის ანგარიშზე (სახაზინო კოდი 708977259) დადგენილი საფასურის (40 ლარი) გადახდის ქვითარი ბანკიდან, რომელზეც მითითებული უნდა იყოს ფაკულტეტისა და სამაგისტრო პროგრამის დასახელება.

დამატებითი ინფორმაცია

- სტუ-ის სამაგისტრო პროგრამებზე კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს აპლიკანტს, რომელსაც საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის 4 ნაწილიდან რომელიმე 3-ში მაინც აქვს გადალახული მინიმალური ზღვარი (იმისათვის, რომ ტესტის ნაწილში კანდიდატმა გადალახოს ზღვარი, მის მიერ ამ ნაწილში მიღებული ჯამური ქულა, ხოლო გათანაბრების შემთხვევაში – გათანაბრებული ქულა უნდა იყოს მეტი ცხრილში მოცემულ ზღვრულ ქულაზე. ქულა გამსვლელია თუ ის ცხრილში მოცემულ ზღვრულ ქულაზე მეტია).

საგამოცდო ტესტის ნაწილი	მაქსიმალური ქულა	კომპეტენციის მინიმალური ზღვარი	ზღვრული ქულა
წაკითხულის გააზრება	21	30%	6,3
ანალიტიკური წერა	18	30%	5,4
ლოგიკური მსჯელობა	17	30%	5,1
რაოდენობრივი მსჯელობა	19	25%	4,75

- აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს სასპეციალიზაციო გამოცდა, ასევე გამოცდა ან გასაუბრება უცხო ენაში სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესაბამისად (იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტმა ვერ წარმოადგინა უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საჭირო დოკუმენტი);
- საგამოცდო ფურცელს (ინფორმაციას გამოცდის თარიღის და ადგილის შესახებ) აპლიკანტები მიიღებენ ფაკულტეტებიდან განაცხადებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე;
- სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მოსაპოვებლად მაგისტრანტობის კანდიდატმა სტუ-ის მიერ განსაზღვრულ გამოცდაში/გამოცდებში უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 32 ქულა (შესაძლო მაქსიმალური 100 ქულიდან);
- სტუ-ში მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება სტუ-სა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამისათვის დადგენილ ვადაში მაგისტრანტობის კანდიდატმა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში უნდა წარმოადგინოს; კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომის დედანი, უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განთლების შემთხვევაში, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქართულ ენაზე ნათარგმნი ნოტარიულად დამოწმებული დედანი და განათლების აღიარების დოკუმენტი, ფოტოსურათი - 4 ცალი ზომით 3x4 სმ და CD დისკი; სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი.